



პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ



პროექტის პარტნიორი



პროექტის პარტნიორი



ევრაზიის
თანამშრომლობის
ფონდი

პროექტს ახორციელებს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი

საინფორმაციო ბიულეტენი

მრგვალი მაგიდა "ნდობა-უნდობლობა ქართული მედიის მიმართ 24 თებერვალი, 2010 წელი

2009 წლის სექტემბრიდან ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასა და საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან თანამშრომლობით, ახორციელებს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტს "საქართველოში მედიის, როგორც მაკონტროლებელი ინსტიტუტის როლის გაძლიერება". პროექტი მიზნად ისახავს საქართველოს მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდას ინფორმაციის დამოუკიდებელ წყაროებზე, და განსაკუთრებით, საგამომიებო ჟურნალისტურ მასალებზე.

2010 წლის 24 თებერვალს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდმა გამართა მრგვალი მაგიდა, რომელიც დაეთმო ქართული მედიის მიმართ ნდობა-უნდობლობის საკითხს. ღონისძიების მიზანი იყო ქართული მედიის წინაშე მდგარი გამოწვევების შეფასება, მედიის ხარისხის გაუმჯობესების, მის მიმართ საზოგადოების ნდობის გაზრდისა და მედიის, როგორც მაკონტროლებელი ინსტიტუტის როლის გაძლიერების შესაძლებლობათა განსაზღვრა.

მრგვალი მაგიდის მომხსენებლები

მისი აღმატებულება ბ-ნი პერ ეკლუნდი, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი

ბატონმა ელჩმა ხაზგასმით აღნიშნა დამოუკიდებელი მედიის მნიშვნელობა საქართველოს დემოკრატიული განვითარებისთვის. მან განიხილა ქართული მედიის ძლიერი და სუსტი მხარეები, საფრთხეები და შესაძლებლობები. ბატონმა ელჩმა ისაუბრა ასევე მედიის სფეროში ბოლო პერიოდში მომხდარ მოვლენებზე, როგორცაა ჟურნალისტთა ეთიკის ქარტიის მიღება (პროექტი ევროკავშირის დაფინანსებით განახორციელა ევროპის საბჭომ), ცვლილებები საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში, და, ასევე, ვახტანგ კომახიძის შემთხვევა. ბატონმა ელჩმა აღნიშნა, რომ მედიის სფეროში ცვლილებების მიღწევა მხოლოდ მუდმივი მუშაობის შედეგად იქნება შესაძლებელი.

ბატონი ელჩის სიტყვა ინგლისურ ენაზე იხილეთ შემდეგ მისამართზე:

<http://epfound.ge/files/pe - media trust distrust-24 02 2010 for epf newsletter 2 .pdf>

ქ-ნი თინათინ ზურაბიშვილი, კავკასიის კვლევითი რესურს ცენტრის მონაცემთა ინიციატივის პროექტის რეგიონული კოორდინატორი

ქალბატონმა თინათინმა 2009 წლის სექტემბერ-ოქტომბერში კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მიერ ჩატარებული მედიის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით წარმოადგინა საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება ქართული მედიის მიმართ. როგორც კვლევამ აჩვენა, პირდაპირ კითხვაზე, ენდობიან თუ არა ზოგადად ჟურნალისტებსა და მედიას რესპოდენტების უმრავლესობამ დადებითი პასუხი გასცა. თუმცა, არაპირდაპირ კითხვებზე გაცემულმა პასუხებმა აჩვენა, რომ საქართველოს მოსახლეობა ქართულ მედიას, განსაკუთრებით კი, სატელევიზიო არხებს არ მიიჩნევს ინფორმაციის სანდო წყაროდ.

პრეზენტაცია (ქართულად) შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე:
http://epfound.ge/files/epf_feb_24_2010.pdf

ბ-ნი ზვიად კორიძე, დამოუკიდებელი ჟურნალისტი

ბატონმა ზვიადმა ისაუბრა ინფორმაციის, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსის ხელმისაწვდომობის აუცილებლობაზე და აღნიშნა, რომ სამწუხაროდ, საქართველოში ინფორმაცია ხშირად პროპაგანდის სახეს ღებულობს, და ეს ახასიათებს არა მხოლოდ მთავრობის მხარდამჭერ, არამედ ოპოზიციურად განწყობილ მედია საშუალებებს. რთულია ქართული მედიის მიმართ გქონდეს ნდობა მაშინ, როდესაც ისეთი ცნობილი ჟურნალისტი, როგორც ვახტანგ კომახიძეა, იძულებულია დატოვოს პროფესია და გაიქცეს ქვეყნიდან. მთავრობის მხარდამჭერი მედია საშუალებები ამ მოვლენას მარტივად ხსნიან იმით, რომ ვახტანგ კომახიძემ პროფესია საკუთარი კრიმინალური ქმედებების დასაფარად გამოიყენა; მსგავსი მიდგომა იქნა გამოყენებული საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და ბ-ნი პაატა ზაქარეიშვილის დისკრედიტაციისათვისაც.

დღესდღეობით, ქართული ჟურნალისტიკა ძალიან შორს დგას თანამედროვე ჟურნალისტიკისგან, რადგან ის დაფუძნებულია სტერეოტიპებზე. რაც მეტად ცდილობს მედია საშუალება მაღალხარისხიანი ჟურნალისტიკის ეთიკური სტანდარტების ერთგული დარჩეს, მით უფრო მცირეა მისი ტირაჟი, და პირიქით. ქართულ ბეჭდვით მედიას მიაჩნია, რომ ტირაჟის გასაზრდელად ერთადერთი საშუალებას მგრძნობიარე საკითხებზე სენსაციური და ქსენოფობიური მიდგომით წერა წარმოადგენს. ამის შედეგად, ძალიან ადვილი ხდება სტერეოტიპების ჩარჩოებში მოქცეული მკითხველით მანიპულირება. ეს არის ყველაზე მძაფრი გამოწვევა, რომელიც ქართული მედიის წინაშე დგას და ჟურნალისტებმა უნდა იკისრონ პასუხისმგებლობა მოსახლეობას სანდო ინფორმაცია მიაწოდონ. თუ თავად ჟურნალისტები არ შეეცდებიან პრობლემის მოგვარებას, სიტუაცია არ გამოსწორდება.

ქ-ნი ანა ქეშელაშვილი, ასისტენტ პროფესორი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

ქალბატონმა ანამ აღნიშნა, რომ ბოლო პერიოდში ასპარეზზე გამოჩენილ ჟურნალისტთა ახალ თაობას თანდაყოლილი ლოიალური დამოკიდებულება აქვს მთავრობის პოლიტიკის მიმართ. უფრო გამოცდილმა ჟურნალისტებმა ვერ შეძლეს თავიანთი ცოდნის გადაცემა ახალგაზრდა თაობისათვის და შესაბამისად, ჟურნალისტური ეთიკური სტანდარტები ნიველირებული იქნა. ძალიან ხშირად, მაშინაც კი, როდესაც სტუდენტები ჟურნალისტურ ეთიკას სწავლობენ, მათ არა აქვთ საშუალება, რომ პრაქტიკულად მისდიონ მას, რადგან ისეთ მედია საშუალებებში იწყებენ მუშაობას, სადაც ამ ეთიკას არ აქცევენ ყურადღებას, და სადაც რედაქტორები მოითხოვენ არა საზოგადოების, არამედ ინდივიდუალური, ან პოლიტიკური ინტერესების დაცვას. რეკომენდაციები უნდა ვრცელდებოდეს არა მარტო ჟურნალისტებზე, არამედ მენეჯმენტსა და სარედაქციო კორპუსზე, რომელიც განსაზღვრავს სარედაქციო პოლიტიკას. ქართულ მედიას, დღესდღეობით, მაკონტროლებელი

ინსტიტუტის ფუნქცია დაკარგული აქვს და პროპაგანდის საშუალებად არის ქცეული. ჟურნალისტებმა აუდიტორიას ფაქტები უნდა მიაწოდონ და არა პროპაგანდა. დღეს მედია მომხმარებლებს სჭირდებათ ინფორმაციის სხვადასხვა წყაროებზე ხელმისაწვდომობა, რათა საკმარისი ინფორმაციის საფუძველზე საკუთარი მოსაზრება ჩამოაყალიბონ. აუდიტორიას აინტერესებს ფაქტები - ჟურნალისტებმა კი მას ეს ფაქტები უნდა მიაწოდონ, სხვაგვარად შეუძლებელი იქნება საზოგადოების ნდობის აღდგენა.

ქ-ნი შორენა შავერდაშვილი, ჟურნალ "ლიბერალის" გამომცემელი და რედაქტორი, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრი.

თავის გამოსვლაში ქალბატონმა შორენამ ორ საკითხზე გაამახვილა ყურადღება: 1) თავისუფალ მედიაზე საქართველოში და 2) საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოზე, ისევე როგორც საზოგადოებრივ მაუწყებელზე ზოგადად.

ქალბატონი შორენას აზრით, თავისუფალი მედია მუდმივ კრიზისულ მდგომარეობაშია, რადგან ვერ ახერხებს რეკლამებიდან შემოსავლების მიღებას და უწევს არსებული მცირეოდენი რესურსების მუდმივი კრიზისული მენეჯმენტის განხორციელებას. მაშინაც კი, როდესაც თავისუფალ მედია საშუალებებს აქვთ დიდი ტირაჟი, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს არ სურთ რეკლამების განთავსება, რადგანაც, მათი აზრით, ეს გამოცემები პოლიტიკურ ხასიათს ატარებს. შესაბამისად, მგავსი მედია საშუალებები ფუნქციონირებენ სხვადასხვა ფონდებისა და დონორების მიერ გაწეული დაფინანსების მეშვეობით. მსგავს გარემოში თავისუფალი მედიის პერსპექტივები ბუნდოვანებითაა მოცული, თუკი ვერ მოხერხდება დონორი ორგანიზაციების მხრიდან სხვა, უფრო ეფექტური მექანიზმების შემუშავება მედიის თავისუფლების შესანარჩუნებლად. მეორე პრობლემა, რასაც თავისუფალი მედია აწყდება არის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, რადგან ხშირად სამთავრობო უწყებებს არ სურთ ჟურნალისტებისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება.

რაც შეეხება საზოგადოებრივ მაუწყებელს, ქალბატონმა შორენამ აღნიშნა, რომ აუცილებელია არხის რეფორმირება, რათა ის ემორჩილებოდეს მიუკერძოებლობის ეთიკურ ნორმებს.

დღესდღეობით, არხი აუდიტორიას სრულიად გულგრილს ტოვებს, რადგან არ აქვს გამორჩეული პროდუქტი, არ მუშაობს საზოგადოების თითქმის არც ერთ სეგმენტზე. არ არსებობს არხის მართვის არანაირი სტრუქტურა, არანაირი კონტროლი გადაწყვეტილებათა განხორციელებაზე, ანგარიშგების სისტემა. არ არსებობს სამეთვალყურეო საბჭოსათვის ინფორმაციის წარდგენის კულტურა, რაც საბჭოს წევრებისათვის ინფორმაციაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას თითქმის შეუძლებელს ხდის.

ქალბატონმა შორენამ ასევე ხაზი გაუსვა საზოგადოებრივი მაუწყებლის მხარდასაჭერად BBC World Trust-ის მიერ ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის დადებით ზეგავლენას. ქალბატონი შორენას მოსაზრებით უფრო ეფექტური იქნება დაგეგმილი ტრენინგების ფოკუსირება სარედაქციო ჯგუფზე ვიდრე ჟურნალისტებზე.

მრგვალ მაგიდაზე შემუშავებული რეკომენდაციები:

დონორებისა და კვლევითი ცენტრებისათვის:

1. ყველა ტიპის პროგრამის (არა მარტო პოლიტიკურ პროგრამების) რეგულარული, ამომწურავი მედია მონიტორინგის ჩატარება
2. მედიის შინაარსის კვლევების განხორციელება
3. მედიის აუდიტორიის რეგულარული შესწავლა
4. სასამართლოს ხარჯების ანაზღაურება იმ შემთხვევებში, როდესაც საჯარო ინფორმაციის მიუწოდებლობის გამო ჟურნალისტი სასამართლოს მიმართავს.

5. საჯარო ინფორმაციასთან, ჟურნალისტთა უფლებებთან და მედია სამართალთან დაკავშირებული კანონმდებლობის მონიტორინგის დაფინანსება.

ჟურნალისტების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის:

1. იმ საკანონმდებლო ცვლილებების ადვოკატირებისათვის საჭირო მექანიზმების ჩამოყალიბება, რომლებიც ხელს უშლიან ჟურნალისტთა პროფესიულ საქმიანობას.
2. მედია კლუბის მხარდაჭერა, რათა მიმართოს პარლამენტს სამართლებრივი ცვლილებების განხორციელებისთვის (მედია საშუალებების შემოსავლების წყაროს გამჭვირვალობა; მესაკუთრეთა გამჭვირვალობა; საკაბელო ქსელებისათვის "must carry" პოლიტიკის განხორციელების უზრუნველყოფა)
3. მხარდაჭერის მოძიება კანონის შესაცვლელად, რომელიც ითვალისწინებს 500 ლარიან ჯარიმას იმ ჟურნალისტებისათვის, რომლებიც ჩაერევიან საარჩევნო კომისიის საქმიანობაში.

არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის:

1. საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოსათვის ორ არსებულ ვაკანსიაზე რეკომენდაციების გაწევა
2. კვალიფიკაციისა და კონსულტაციების გაზიარება სამეურვეო საბჭოსათვის.

საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს:

1. აქტიურად ითანამშრომლოს საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან, რათა მოხდეს რეგიონული ახალი ამბების უფრო რეგულარული გამუქება საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით თამარ ზურაბიშვილს, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მედია და ინოვაციური პროექტების პროგრამის მენეჯერს, ტელეფონზე: (99532) 25 27 78, ან შემდეგ ელ.ფოსტაზე: tzurabishvili@epfound.ge